10 რჩევა გასაუბრებაზე

1. სანამ გასაუბრებაზე მოხვდებით აუცილებელია გქონდეთ CV, ანუ რეზიუმე. რეზიუმე არის ერთგვერდიანი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს საკონტაქტო ინფორმაციას, აკადემიურ კვალიფიკაციებს, სამუშაო ისტორიას და არასავალდებულო პერსონალურ სექციას, სადაც აღწერილია მაგალითად ის ენები რაზეც საუბრობთ, პირადი მიღწევები, ჰობი და გამოსადეგი უნარ-ჩვევები. რეზიუმეს ხშირად ურთავენ რეკომენდაციის წერილს ან ყოფილი დამსაქმებლის საკონტაქტო ინფორმაციას.

2. დამსაქმებელი ტელეფონით ან უფრო ხშირ შემთხვევებში E-მეილით უკავშირდება პოტენციურ თანამშრომელს. რადგანაც ამ დროს არ არსებობს პირადი კონტაქტი, აუცილებელია გააზრებული პასუხების შერჩევა, რომლებიც იქნება მარტივად გასაგები და აღსაქმელი, საკითხთან დაკავშირებული და კონკრეტული. გასათვალისწინებელია, რომ პიროვნებას ტელეფონის მეორე მხარეს არ აქვს ბევრი დრო და რაც უფრო სწრაფად მოგვარდება ლოგისტიკური დაგეგმარების პროცესი, მით უფრო რეალური კანდიდატი ხდებით გამსაუბრებლის თვალში. არ დაგავიწყდეთ, გასაუბრება მაშინ არ იწყება, როდესაც მომავალ უფროსს ხელს ართმევთ, გასაუბრება იწყება იმ შეხების პირველი წერტილიდან, რომელიც კომპანიასთან ან გამსაუბრებელთან გაქვთ.

3. ინტერვიუსთის მოსამზადებელ გაკვეთილზე, ყველაზე მეტი კითხვა ყოველთვის დრეს-კოდს ეხება. დრეს-კოდი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ქვეყანაში აპირებთ მუშაობას, იმ კომპანიაზე, სადაც გადიხართ გასაუბრებას და იმ სფეროზე, რომელშიც მოღვაწეობთ. ბიზნესის და განსაკუთრებით ფინანსების სფერო აღინიშნება მკაცრი ფორმალობით. აუცილებელია თეთრი პერანგი, კოსტიუმი და დახურული, გამოსასვლელი ფეხსაცმელი. სასურველია კოსტიუმი იყოს მუქი ფერის, შავი, ნაცრისფერი ან ლურჯი.

4. როგორც კი ინტერვიუზე მიხვალთ აუცილებელია ხელი კარგად ჩამოართვათ ყველას, ვინც გაგეცნობათ. შესაძლებელია ინტერვიუს ერთზე მეტი ადამიანი ესწრებოდეს და სწორედ ამიტომ აუცილებელია ყველა დამსწრეს თანაბარი ყურადღება დაუთმოთ. დაიმახსოვრეთ მათი სახელი, პოზიცია კომპანიაში და დეტალები, რომლებსაც საკუთარ თავზე გაგიმხელენ.

5. მიდით ინტერვიუზე მომზადებული: გქონდეთ ზედმეტი რეზიუმე, სავიზიტო ბარათი, კალამი და ფურცელი.

6. ინტერვიუს დროს იყავით თავდაჯერებული და გულახდილი.

7. მოამზადეთ პასუხი რამდენიმე სავარაუდო კითხვაზე, რომელსაც აუცილებლად დაგისვამენ ინტერვიუზე.

8. ზუსტი და დამაკმაყოფილებელი პასუხების გაცემის გარდა, ინტერვიუს წარმატებით გავლა შეუძლებელია კარგად მოსმენის გარეშე. მოუსმინეთ კითხვებს და იმ ადამიანებს, ვისთანაც ხართ გასაუბრებაზე. თუ დარწმუნებული არ ხართ, რომ კითხვა გაიგეთ, ჩაეკითხეთ ინტერვიუერს. თქვენი დაინტერესება ავლენს იმას, რომ ყურადღებიანი ადამიანი ხართ და გულისყურით ისმენთ კითხვებს და მომავალში სამუშაო დავალებებს.

9. არ იყოთ დაძაბულები და არ ინერვიულოთ, დადებითად განეწყვეთ მაგიდის მეორე მხარეს მჯდომ პირების მიმართ, გაიღიმეთ და თქვენი დამოკიდებულება ინტერვიუერებსაც გადაედებათ – რაც უფრო ადვილს და საინტერესოს გახდის ინტერვიუს.

10. გასაუბრების დასრულების შემდეგ მადლობა გადაუხადეთ პოტენციურ დამსაქმებელს და მის კოლეგებს – აღნიშნეთ, რომ მადლობელი ხართ, რომ მათ თავისი დრო დაგითმეს და გამოართვით სავიზიტო ბარათები. რამდენიმე საათის შემდეგ, სასურველია E-mail-ითაც გადაუხადოთ მადლობა – ეს გამოგყოფთ დანარჩენ ათეულობით კანდიდატს შორის და თქვენ თავს დაამახსოვრებს.

წარმატებები!